უპირველეს ყოვლისა, ყველას გილოცავთ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს დაფუძნების 10 წლის იუბილეს. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო დაფუძნებულ იქნა 2006 წელს, ქალაქ ქუთაისში, ALDA-ს (ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისათვის) ინიციატივის საფუძველზე. ის წარმოადგენს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ქსელის წევრს და პირველ სააგენტოს სამხრეთ კავკასიაში.

ორგანიზაციას აქვს საერთაშორისო მანდატი იმ თვალსაზრისით, რომ ის არის ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოების ასოციაციის ქსელის წევრი და ყავს ისეთი საერთაშორისო

პარტნიორები, როგორცაა ქალაქი სტრასბურგი, ქალაქი მონფალკონე და პოლონეთის კუჟაუეო პომერსკი რეგიონი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, რომელმაც წლების განმავლობაში ახალი მასშტაბები შეიძინა, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო კვლავ აგრძელებს მათთან თანამშრომლობას პარტნიორული ურთიერთობების უფრო მეტად განმტკიცებისთვის.

როგორც აღმასრულებელ დირექტორს პირველად მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ წლიური ანგარიში, რომელიც ასახავს 2016 წელს განხორციელებულ აქტივობებს. რთულია რამდენიმე ფურცელზე დაათვალი მთელი წლის საქმიანობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ მკითხველისთვის ანგარიშში ასახული აქტივობები იქნება შთამბეჭდავი და საინტერესო.

2016 წელს მანდატისა და შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, განვახორციელეთ ძალიან საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული პროექტები.

წლის განმავლობაში ჩავატარეთ 287 შეხვედრა, რომელსაც 3813 ადამიანი ესწრებოდა, გადავამზადეთ 361 ადამიანი, მიმდინარე წელს ორგანიზაცია გახდა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ორგანიზაცია, გამოიცა სახელმძღვანელო ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ, დაიბეჭდა სხვადასხვა შინაარსის სამი გზამკვლევი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, ორგანიზაციამ მიიღო EVS აკრედიტაცია და ა.შ. წარმატებული საქმიანობის ჩამონათვალი კიდევ ბევრია მჯერა, რომ 2017 წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იქნება.

დასასრულს, გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ორგანიზაციის დამფუძნებელ წევრებს, პარტნიორებს — ადამიანებს, რომლებმაც დაიწყო წვლილი მიუძღვით ორგანიზაციის განვითარებაში და გაძლიერებაში.

ნინო ხუხუა
აღმასრულებელი დირექტორი
ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

1. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის რეგონული წარმომადგენელი იმერეთის მხარეში



აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ, ეროვნული პლატფორმის რეგიონულ წარმომადგენლად მუშაობა 2016 წლიდან დაიწყო. აღნიშნული მანდატით ორგანიზაციამ განახორციელა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები როგორც საზოგადოებრივ და მედია ორგანიზაციებთან, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან.

- 4 საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან იმერეთის მხარეში: შეხვედრების მიზანი გახლდათ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლება ევროპული ინტეგრაციის, ასოცირების ხელშეკრულების დღის წესრიგის და თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის შესახებ.
- 8 საინფორმაციო შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან: შეხვედრის მონაწილეებს მიენოდათ ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის როლსა და უფლებამოსილებებზე, მათ საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. მოქალაქეთა ჩართულობის არსებულ მექანიზმებზე, როგორებიცაა: დასახლებათა საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებზე დასწრება, მერის/საკრებულოს წევრის მიერ განეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა.
- 1 საინფორმაციო შეხვედრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან: შეხვედრის მიზანი, სტუდენტებისათვის ევრო კომისიის მიერ მხარდაჭერილი ახალგაზრდული პროგრამების გაცნობა იყო, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა Erasmus +, რომელიც

მოიცავს რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებას, მათ შორისაა: ევროპის მოხალისეობის სერვისი EVS, ტრენინგ კურსები, ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამები და საუნივერსიტეტო გაცვლითი პროგრამები. აღსანიშნავია, რომ ზემოთაღნიშული პროგრამის დანერგვის და მხარდაჭერის ვალდებულება საქართველომ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით იკისრა.

- 2 დისკუსია იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტის გამგებლებთან და იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორის ადმინისტრაციასთან: შეხვედრის მიზანი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით განსაზღვრული მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების გაცნობა და მათ შესახებ დისკუსია იყო. შეხვედრა ინტერაქციული ხასიათის იყო და დამსწრეთა მიერ გამოთქმულ იქნა იმგვარი დაბრკოლებები თუ სირთულეები, რაც შემდგომში ხელს შეუშლის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების იმპლემენტაციას, გამომდინარე მოქალაქეთა განწყობებიდან და სოფლის სპეციფიკიდან.
- 1 მრგვალი მაგიდა ახალგაზრდულ კლუბ „ახალგაზრდები ევროპისათვის“ წევრების მონაწილეობით: შეხვედრის თემა გახლდათ „საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების დადებითი ასპექტები და გამოწვევები. შეხვედრაზე აქცენტები გაკეთდა ასოცირების დადებით ასპექტებზე და მათთან დაკავშირებულ გამოწვევებზე. პროგრესის მისაღწევად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად დასახელდა ხელისუფლების ეფექტური მუშაობა და კანონმდებლობის მაქსიმალურად სრულყოფა, იმგვარად, რომ შესაძლებელი გახდეს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ახალგაზრდების მხრიდან უმნიშვნელოვანეს ხელშემწყობ ფაქტორად დასახელდა სამოქალაქო საზოგადოების, ახალგაზრდების და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლების მაქსიმალური ჩართულობა პროცესებში.



2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ახორციელებს პროექტს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“, რომლის მიზანია შპმ პირთა პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, არჩევნების სამართლიანად/დემოკრატიულად ჩატარებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების ანგარიშვალდებულების გაზრდა, საარჩევნო პროცესებისა და ამ პროცესებში არსებული კანონმდებლობის ანალიზის, საერთაშორისო სტანდარტებისა და კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის გზით.

საანგარიშო პერიოდში მოეწყო პროექტის პრეზენტაცია, სადაც მონვეულები იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, საოლქო საარჩევნო კომისიისა და მედია ორგანიზაციის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებას გაეცნო პროექტის მიზნები, ამოცანები და დაგეგმილი აქტივობები. პრეზენტაციას სულ ესწრებოდა – 19 ადამიანი. ასევე პროექტის შესახებ ინფორმაცა გაშუქებული იქნა სხვადასხვა მედია საშუალებების მიერ.

საანგარიშო პერიოდში მოეწყო პროექტის პრეზენტაცია, სადაც მონვეულები იყვნენ სამოქალაქო საზოგადოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, საოლქო საარჩევნო კომისიისა და მედია ორგანიზაციის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებას გაეცნო პროექტის მიზნები, ამოცანები და დაგეგმილი აქტივობები. პრეზენტაციას სულ ესწრებოდა – 19 ადამიანი. ასევე პროექტის შესახებ ინფორმაცა გაშუქებული იქნა სხვადასხვა მედია საშუალებების მიერ.

შპმ პირების პოლიტიკური და საარჩევნო უფლებების რეალიზების შესწავლის ფარგლებში ქვე-გრანტიორი ორგანიზაციის (ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო) მიერ, შეთანხმებული განრიგის და მეთოდოლოგიის მიხედვით დაიგეგმა და დაიწყო კვლევითი საქმიანობის განხორციელება. შეიქმნა მკვლევარის მიერ კვლევის მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც დაიწყო კვლევითი საქმიანობის განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში იმერეთის მხარეში არსებული პრაქტიკის შესწავლის მიზნით, ჩატარდა სამიზნე აუდიტორიის გამოკითხვა ფოკუს ჯგუფებისა და პირდაპირი ინტერვიუების ჩატარების გზით. პროექტის ფარგლებში შემუშავდა სპეციალური კითხვარი, რომლის საფუძველზეც

ჩატარდა 2 ორგანიზაციაში – პირდაპირი ინტერვიუ და 3 – ფოკუს ჯგუფის ინტერვიუ 5 (ქუთაისი, ბაღდათი, ზესტაფონი), ჯამში გამოიკითხა 18 რესპოდენტი (შშპ პირი).

ასევე, პროექტის ფარგლებში გამოთხოვილი იქნა საჯარო ინფორმაცია შემდეგი დაწესებულებებიდან: საქართველოს უზენაესი სასამართლო, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისია, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის დამუშავება და დამატებითი ინფორმაციის მოძიება კვლევისთვის.



3. პროექტი „მიიღე მონაწილეობა მართვაში“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ახორციელებდა პროექტს „მიიღე მონაწილეობა მართვაში-3მ“, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, პროექტ „სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტის“ ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის მიზანი იყო ხელი შეეწყოს მოქალაქეთა ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაენერგა არასამთავრობო სექტორსა და მოქალაქეებს შორის თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა და შეექმნა პრობლემათა ადვოკატირების საინტერესო პრეცედენტები — მოქალაქეთა ჩართულობის მეშვეობით.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა იმერეთის მხარეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, იმერეთის მხარის მუნიციპალიტეტების, ბიზნეს სექტორის, უნი-

ვერსიტეტის წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ის ქმედითი მექანიზმები, რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შესული სრულიად ახალი XI თავის «მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები» პრაქტიკაში ეფექტურ იმპლემენტაციას. პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო საერთაშორისო ექსპერტი ანტონელა ვალმორბიდა (ALDA გენერალური მდივანი), რომელმაც სამუშაო ჯგუფის წევრებთან ერთად იმსჯელა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ და შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც წარმოდგენილია სახელმძღვანელოში. სამუშაო ჯგუფი საქმიანობდა 20 მონაწილის შემადგენლობით.



მომზადდა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ სახელმძღვანელო, სადაც გაწერილი იქნა ყველა ის ტექნიკური დეტალი და სახელმძღვანელო პრინციპი, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების პრაქტიკაში იმპლემენტირებისათვის. სახელმძღვანელოში ასევე მოცემულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შესახებ. სახელმძღვანელო ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დაეხმარება, ორგანიზება გაუწიოს მოქალაქეების ჩართვას ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიცირების და მათი ადვოკატირების პროცესში. სულ დაიბეჭდა სახელმძღვანელოს 200 ეგზემპლარი და გავრცელდება მუნიციპალიტეტებში და შერჩეულ დასახლებებში.

პროექტის ფარგლებში შეიქმნა 6 დასახლება (სოფ. ჩუნეში; სოფ. ბაზალეთი; სოფ. ჩაის მეურნეობა; სოფ. ბუხინევი; სოფ. საიმედო) იმერეთის მხარის მასშტაბით სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, თითოეულ მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2 (ორი) ორდღიანი ტრენინგი, რომელთა მო-

ნაწილებსაც აუმაღლდათ ცნობიერება პრობლემათა ადვოკატირების, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის, კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებისა და მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის შესაძლებლობის შესახებ.

აღნიშნული კომპონენტის მიღწევად ითვლება ის, რომ მონაწილეებმა მზაობა გამოთქვეს ჩაერთონ დასახლების საერთო კრებებში, დაესწრონ საკრებულოს სხდომებს, გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია, მოამზადონ პეტიცია და მოისმინონ გამგებლის/მერის და საკრებულოს წევრის ანგარიშები. ტრენინგის მონაწილეები მომავალში გაცნობიერებულად ისარგებლებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებით. განახორციელებენ თემის თვითმობილიზებას და ჩაატარებენ დასახლების საერთო კრებას, აირჩევენ რჩეულს და მისი მეშვეობით მოახდენენ ადგილობრივი საკითხების/პრობლემების ადვოკატირებას. ჯამში: 6 დასახლებაში ჩატარდა 12 ორდღიანი ტრენინგი (III და IV მაილსტონები) და მათ ესწრებოდა 180 აქტიური მოქალაქე.

გამართა დასახლების საერთო კრებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტების გამგებლების მიერ დარეგისტრირდა და ბრძანების საფუძველზე დაინიშნა სულ 6 დასახლების საერთო კრება, შემდეგ დასახლებებში: სოფ. საიმედო; სოფ. ბაში; სოფ. ბაზალეთი; სოფ. ზემო ჩუნეში; სოფ. ჩაის მეურნეობა; სოფ. ბუნივეი, აქედან:



-დასახლების საერთო კრების ლეგიტიმაციისათვის აუცილებელი 20% რეგისტრირებული მოსახლეობისა მივიდა 2 დასახლებაში, ესენია: სოფ. ზემო ჩუნეში და სოფ. ბაზალეთი, ამავე დასახლებებში აირჩიეს რჩეულები, შეარჩიეს ყველაზე პრიორიტეტული პრობლემა, მოამზადეს ოქმი და წარადგინეს იგი მუნიციპალიტეტის გამგეობაში;

— დასახლების საერთო კრება გაიმართა, თუმცა მისი გადანწყვეტილების ლეგიტიმაცია ვერ მიიღწა 3 დასახლებაში, ესენია: სოფ. ბჭინევი; სოფ. ბაში და სოფ. ჩაის მეურნეობა. აღნიშულის მთავარი მიზეზი გახლდათ, კრებაზე არასაკმარისი მონაწილეების მოსვლა. მაგ: სოფ. ბუჩინევი მოვიდა 75 ადამიანი, თუმცა 20% შეადგენდა 90 ადამიანს.

პროექტის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო ბუკლეტი, სადაც დაინტერესებულ პირს საშულება ექნება გაეცნოს იმერეთის მხარეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებს და მათ საქმიანობას მოქალაქეთა ჩართულობის მიმდინარე და უკვე განხორციელებული პროექტების, ორგანიზაციების სამომავლო საქმიანობის გეგმებისა და პროექტების განხორციელების გეორგაფიული არეალის შესახებ. სულ გამოიცა 500 ეგზემპლიარი.

გადამზადებული მოსახლეობის, დასახლების საერთო კრებებზე არჩეული რჩეულებისა და საპროექტო გუნდის მიერ განხორციელებული ადვოკატირების კამპანიის შედეგად, პროექტის ფარგლებში შერჩეულ დასახლებებში, დაიწყო ადგილობრივი პრობლემების გადაჭრა/ გადაჭრისათვის საწყისი სამუშაოები, კერძოდ:

2017- წლის 13 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორის სახელზე მომზადდა წერილი (იხ. დანართი 2#), რომელშიც საუბარია სოფ. ჩუენის დასახლების საერთო კრების მიერ შერჩეული პრობლემის (ნ.ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია) მოგვარების აუცილებლობის შესახებ. რჩეული და საპროექტო გუნდი პროექტის დასრულების შემდგომაც განაგრძობს პროცესების დაკვირვებას და პრობლემის ადვოკატირებას.

-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ბაზალეთში, დასახლების საერთო კრებაზე ყველაზე პრიორიტეტულ პრობლემად შეირჩა სოფლის ინტერნეტიზაციის საკითხი. კრებაზე არჩეულ იქნა ადგილობრივი მაცხოვრებელი — მამია ლომსაძე, რომელიც საპროექტო ჯგუფის დახმარებით განაგრძობს პრობლემის ადვოკატირებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან. პრობლემის მოგვარებას ლობირებს დასახლების მაჟორიტარი საკრებულოს წევრი ვარლამ ჭიპა-

შვილიც. აღნიშნულ საკითხზე იხ. სტატია გაზეთ ჩემი ხარაგაულში: <http://chemikharagauli.com/?p=#14402.WHyisdL5jcc>

– სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბაშში, რომ ვერ მოხდა კრებაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 20% ადამიანი) დასწრება, რაც საფუძველი გახდა დასახლების საერთო კრების არალეგიტიმურად ცნობის. მიუხედავად ამისა თემის მაცხოვრებელთა ნაწილმა, ვინც მოახერხა კრებაზე დასწრება ისაუბრეს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლეთან ერთად, მათ თემში არსებულ პრობლემაზე, კერძოდ მდინარე გუბისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების საჭიროებაზე. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით სამტრედიის მუნიციპალიტეტმა დაიწყო პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა, კერძოდ პირველ ეტაპზე, რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელზე ამზადებენ წერილს და დასახლების საერთო კრების საინიციატივო ჯგუფის მონაწილეობით იწყებენ პრობლემის ლობირებას.



პროექტის დასასრულს ორგანიზებულ იქნა კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს იმერეთის მხარის -12ვე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის იმერეთის მხარეში, მოქმედი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე პროექტში ჩართულმა აქტიურმა მოქალაქეებმა სოფლებიდან და თემებიდან, დასახლების საერთო კრებებზე არჩეულმა რჩეულებმა. სულ კონფერენციას ესწრებოდა 50 ადამიანი. კონფერენციაზე, იმერეთის მხარეში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, წარადგინეს მათ მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ.

4. პროექტი „ახალგაზრდები ევროპისათვის“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ 2016 წელს, მის სტრატეგიულ პარტნიორებთან ALDA, ქუთაისის მერია და სტრასბურგის მერიასთან ერთად განახორციელა პროექტის „ახალგაზრდები ევროპისათვის“.

პროექტის ფარგლებში, ქუთაისში მცოვრებმა 20-მა ახალგაზრდამ გაიარა სამ თვიანი ტრენინგები ევროკავშირის, ევროპის ღირებულებების და საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ, ხოლო შემდგომ ესტუმრნენ ქ.სტრასბურს 4 დღიანი სასწავლო ვიზიტის ფარგლებში.

ახალგაზრდებმა სასწავლო ვიზიტის დროს შემდეგი შეხვედრები განახორციელეს:

- ევროსაბჭოში, ევროპარლამენტში და ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში შეხვედრებისას — მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია ევროსაბჭოში საქართველოს წარმომადგენლებისა და ევროპული ინსტიტუციების მუშაობის შესახებ. ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ მარიამ მამისაიამ, ახალგაზრდებს 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმა გააცნო და ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ ისაუბრა. ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების პრეზენტაცია მოეწყო. სტუდენტებმა ერთმანეთს თავიანთი გამოცდილება გაუზიარეს და სამომავლო ურთიერთობების გაღრმავების შესახებ ისაუბრეს.
- სტრასბურგის უნივერსიტეტის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრისას — ფნაგმა სტუდენტებმა ქართველ თანატოლებს რამდენიმე ფილმი უჩვენეს, ევროკავშირის მნიშვნელობის და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ. ასევე გაიმართა დისკუსია. სტუდენტებმა ერთმანეთს საკუთარი გამოცდილებებიც გაუზიარეს;
- ALDA-ს სტრასბურგის ოფისის წარმომადგენელმა ჯონ სონტემ ქართველ სტუდენტებს ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ესაუბრა;
- სტრასბურგის მერის მოადგილეს, ნაველ ელმრინთან შეხვედრისას

ახალგაზრდებმა საქართველოში ევროკავშირში განვერიანების, ევროპული განათლებისა და ფრანგი და ქართველი ახალგაზრდების ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

ნაველ ელმრინმა ანალოგიური პროექტების მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა. მისი თქმით, ახალგაზრდებს შორის ურთიერთობების გაღრმავება ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ ამ მიზნით, სტრასბურგის მერია მომავალშიც აპირებს ახალგაზრდული პროექტების მხარდაჭერას.

პროექტის „ახალგაზრდები ევროპისათვის“ მონაწილეები ქუთაისში დაბრუნების შემდგომ ქალაქის მერს შოთა მურღულიას შეხვდნენ და ისაუბრეს სამომავლო ურთიერთობებზე.



5. პროექტი „იცოდე შეტი არჩევნების შესახებ“

ა(ა)იპ ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს „იცოდე შეტი არჩევნების შესახებ“. პროექტის მიზანი იყო, 2016 წლის 8 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის, ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება და არჩევნების პოპულარიზაცია იმერეთის მხარის 12-ვე მუნიციპალიტეტში. პროექტის განხორციელების შედეგად გაიზარდა მოქალაქეთა ინფორმირებულობის დონე საარჩევნო კანონდებლობაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც მოსახლეობას მისცა

შესაძლებლობა ინფორმირებული არჩევანი გაკეთებინა 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე და მოეხდინა დარღვევების თავიდან აცილება და პრევენცია. პროექტის ფარგლებში ჩატარდა ინტენსიური გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან იმერეთის მხარის 12 მუნიციპალიტეტში, სულ ჩატარდა 236 შეხვედრა, ესწრებოდა 3483 ადამიანი.

იმერეთის მხარის მოსახლეობის, არასამთავრობო სექტორისა და მას-მედიის წარმომადგენელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონე გაიზარდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე იმერეთის მხარეში მოქალაქეთა აქტიუობა მაჟორიტარული ოლქების მიხედვით მაღალი იყო, სულ დაფიქსირდა 820 ,316 ამომრჩეველი, რაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაჩვენებელს, რომ შევადაროთ ნამდვილად გაზრდილია. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე სულ დაფიქსირდა 246,094 ამომრჩეველი.

მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები რეგიონში მოქმედი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათ მიეწოდათ ინფორმაცია საარჩევნო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებთან და აკრედიტაციის წესთან დაკავშირებით. სულ ჩატარდა 12 საინფორმაციო შეხვედრა, ესწრებოდა 88 ადამიანი.

ჩატარდა ღია კარის დღეები იმერეთის მხარის 12–ვე მუნიციპალიტეტში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა პროექტის ფარგლებში დაბეჭდილ საინფორმაციო მასალებს, ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე საპროექტო გუნდის წევრებისგან.

იმერეთის მხარის 12–ვე მუნიციპალიტეტში მოეწყო კენჭის ყრის დღის პროცედურების სიმულაცია ღია სივრცეში, სადაც „საარჩევნო განვითარების სკოლა –2015“-ის კურსდამთავრებულები ღებულობდნენ მონაწილეობას და დაინტერესებულ პირებს კიდევ ერთხელ უხსნიდნენ ყველა იმ პროცედურას, რომელიც არჩევნების დღეს თითოეულმა ამომრჩეველმა უნდა გაიაროს. სულ ჩატარდა 12 კენჭის ყრის დღის სიმულაცია.

პროექტის ფარგლებში, მოქალაქეთა მეტი ინფორმირებულობისთვის მომზადდა საინფორმაციო ლიფლეტები და პოსტერები, სადაც მოკლედ გადმოცემული იყო კენჭის ყრის დღის პროცედურები. სულ დაბეჭდა 5000 ცალი ლიფლეტი და 500 ცალი პოსტერი.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა 2 სატელევიზიო გადაცემა ტელე–რადიო კომპანია „რიონში“, სადაც საპროექტო გუნდი მოსახლეობას აცნობდა კენჭის ყრის დღის პროცედურებსა და საარჩევნო კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს. ტელე–რადიო კომპანია „რიონის“ დაფარვის არეალი 500 000 მეტ მოსახლზე ვრცელდება, რაც ნიშნავს იმას, რომ საინფორმაციო გადაცემების საშუალებით კიდევ უფრო მეტი ამომრჩევლის ინფორმირება გახდა შესაძლებელი. ასევე აქტიურად ხდებოდა პროექტის აქტივობების გაშუქება სხვადასხვა ადგილობრივი მედია ორგანიზაციების მიერ, სულ მომზადდა და დაიბეჭდა 7 სტატია.



6. პროექტი „გზად რეფორმებისკენ საბინაო სექტორში: დამწყები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პოტენციალის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელორუსიაში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში“

ორგანიზაცია „საბინაო მეურნეობის ინიციატივამ აღმოსავლეთ ევროპაში“ (IWO) საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად დაიწყო პროექტის: „გზად საბინაო სექტორის რეფორმებისკენ: ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების პოტენციის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელორუსიას, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინაში“ განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავს: საცხოვრებლის მართვის გაუმჯობესებასა და საცხოვრებელი სახლების ენერგეტიკული სანაცხის მხარდაჭერას პარტნიორ ქვეყნებში 10 რესურს-ცენტრის მეშვეობით.

პროექტის მიზანია:

- პოპულარიზაცია გაუწიოს ისეთ თემებს, როგორცაა საცხოვრებლის

მართვა და ენერგოეფექტური სანაცია, აგრეთვე, ადაპტირებული საცხოვრებელი გარემო მრავალბინიან სახლებში.

- გამოავლინოს ენერგოეფექტური ღონისძიებების დანერგვის შებენიანი და შესაძლებლობები აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის საცხოვრებელ ფონდში.
- მხარი დაუჭიროს რეფორმებს საცხოვრებელ სექტორში და გაამყაროს სამოქალაქო საზოგადოების როლი, როგორც სადამკვირვებლო ინსტიტუტის.
- აამაღლოს მონაწილეთა კვალიფიკაცია სემინარების, სამუშაო შეხვედრების და საგანმანათლებლო გასვლითი ღონისძიებების საშუალებით.
- აამაღლოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოტენციალი ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად.
- გააუმჯობესოს ურთიერთობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის ცენტრალურ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე.
- წახალისოს საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რათა მათ პოლიტიკურ დონეზე აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მრავალბინიანი მართვის მიდგომების მხარდაჭერის პროცესში და, ამავე დროს, გაამყარონ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები/გაერთიანებები, როგორც მნიშვნელოვანი აქტორები განვითარების დაგეგმარებაში.
- გაამყაროს თანამშრომლობა გერმანულ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მიერ განხორციელებული აქტივობებია:

- მოეწყო შეხვედრა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეროვნული პალტფორმის წარმომადგენლებთან, რომელთაც გავაცანით პროექტის მიზნები და მიმდინარე აქტივობები. დაინტერესება აღნიშნული შეხვედრის შემდეგ არასამათვარაობო ორგანიზაციების გაიზარდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თემის მიმართ და გამოთქვეს სურვილი ითანამშრომლო მათი კომპეტენციის ფარგლებში;

- საანგარიშო პერიოდში მოეწყო შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, კერძოდ მათ გავაცანით იდეა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების სტრატეგიის შემუშავების შესახებ, რომელიც უნდა გახდეს სახელმწიფო თვითმმართველობის შედეგზე ორიენტირებული მუშაობისთვის;
- პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმომადგენლებთან, შეხვედრა ორგანიზებული იყო რესურს ცენტრის მიერ. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პრობლემებსა და მათი გაუმჯობესების აუცილებლობას. აღნიშნულ შეხვედრაზე გაუღერებული პრობლემები ორგანიზაციის მიერ წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველობის საბინაო სამსახურს.
- პროექტის ექსპერტიზის ხუხუა, სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანის, ბელორუსიის, გერმანიის, უკრაინის, მოლდოვის ქვეყნებში სადაც ის შეხვდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკითხებზე მუშაობენ, მათ დიდი დაინტერესება გამოთქვეს სამომავლო თანამშრომლობაზე. შეხვედრებზე განხილული იქნა საქართველოში არსებული სიტუაცია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთხით.

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რადგან ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკითხზე შედეგის მიღება და არსებული სიტუაციის გაუმჯობესება მათთან თანამშრომლობის გარეშე ვერ განხორციელდება. ამიტომ, მივიჩნევთ, რომ თვითმმართველობა, რომელიც ბიუჯეტიდან ათასობით ლარს ხარჯავს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანია მას ჰქონდეს ერთიანი სტრატეგია ამხანაგობების უფრო მეტად განვითარებისა და გაძლიერების. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო, ქუთაისის რესურს ცენტრთან ერთად გეგმავს აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოში და განხორციელებული უნდა იქნას აღმასრულებელი რგოლი მიერ წინასწარ განსაზღვრული პერიოდის მიხედვით.



7. პროექტი „ქუთაისი ეს მუშაობს“

ტრენინგი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებისთვის



პროექტის მეორე ეტაპზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრებისთვის ჩატარდა 2 (ორი) დღიანი ტრენინგი. ტრენინგის მიზანი იყო საბჭოს წევრების ინფორმირება ადგილობრივი თვითმმართველობის არსის, უფლებამოსილებების, მოქალაქეთა ჩართულობის ახალი მექანიზმების შესახებ. გარდა ამისა, მათ მიეწოდათ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესზე, ბიუჯეტის ტიპებზე და მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობაზე ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში. ტრენინგში სულ მონაწილეობდა 13 ადამიანი.

ტრენინგის მონაწილეებს დაურიგდათ მასალები, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების, მოქალაქეთა ჩართულობის

ახალი მექანიზმების, პროგრამული ბიუჯეტისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს უფლებამოსილებების შესახებ. ტრენინგის დროს ჩატარდა რამდენიმე პრაქტიკული სავარჯიშოც, მათ შორის მსმენელებს მიეცათ შესაძლებლობა დაედგათ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობის პროცესის სიმულაცია.

ტრენინგის ეფექტურობის შეფასების მიზნით მონაწილეებს დაურიგდათ შეფასების კითხვარი. კითხვარი შეავსო ყველა მონაწილემ. მონაწილეთა მიერ შევსებული კითხვარების ანალიზი ცხადყოფს, რომ ტრენინგი მათ მიერ შეფასდა დადებითად მონაწილეების უმრავლესობა მადლიერებას გამოხატავს და ისურვებს მსგავს ტრენინგში კვლავ მონაწილეობის მიღებას.

8. პროექტი იმერი – „იმერეთის მუნიციპალიტეტების ერთობლივი ინიციატივა“

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო ევროპის ფონდის ფინანსური მხარდაჭერითა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციასთან პარტნიორობით ახორციელებდა პროექტს „იმერი იმერეთის მუნიციპალიტეტების ერთობლივი ინიციატივა“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ერთის მხრივ ხელი შეეწყო ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის სისტემური დიალოგის ჩამოყალიბებისათვის და მეორეს მხრივ საადვოკაციო კამპანიის მეშვეობით მომხდარიყო მოქალაქეთა პრობლემების გადაჭრა მათი უშუალო ჩართულობითა და მონაწილეობით. წარმოდგენილი პროექტის მიზანი მიღწეულია, სატელევიზიო გადაცემებისა და სიუჟეტების მეშვეობით, რომელიც ათასობით ადამიანმა ნახა, გაიზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე მათ მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესახებ, პირდაპირ ეთერში გასული 24 გადაცემაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 12-მა საჯარო მოხელემ, პასუხი გაეცა მოსახლეობისათვის მნიშვნელოვან და აქტუალურ კითხვებს, მომზადებული 23 სატელევიზიო სიუჟეტი ერთგვარ იმერეთის რეგიონის სურათს წარმოადგენს და მასში გადმოცემული მასალა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს თავადაც განახორციელოს საადვოკაციო საქმიანობა ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით. გადამზადდა 179 მოქალაქე და მათთვის ცნობილია

ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადვოკატურების მექანიზმების შესახებ, იმერეთის 12-ვე მუნიციპალიტეტის გამგებელი და საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი ასევე გადამზადდა პიარ ტექნოლოგიების საკითხებში, შერჩეული 10 დასახლებიდან 7 დასახლებაში წარმატებით დასრულდა საადვოკაციო საქმიანობა და გადაიჭრა მოსახლეობის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა, მათ შორის ისეთი მასშტაბური პრობლემაც კი როგორც იყო პატარა სახულარის ელექტრო გამრიცხველიანება.

საერთაშორისო და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა

1. შავი ზღვის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ხუხუა მონაწილეობდა შავი ზღვის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში, ბულგარეთში, ვარნაში, სადაც ისაუბრა საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე.

2. სტრასბურგის კლუბის შეხვედრა

2016 წლის ნოემბრის თვეში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ხუხუა მონაწილეობდა მე-14 ყოველწლიურ სტრასბურგის კლუბის შეხვედრაში. დღეეგაცის წევრები იყვნენ: ქუთაისის მერიის მერის მოადგილე ნოდარი მიქიაშვილი და საგარეო ურთიერთობათა და საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის წარმომადგენელი გიორგი დათუაშვილი. ნინო ხუხუამ წარადგინა ორგანიზაციის მისია და მიმდინარე საქმიანობა, მათ შორის პროექტი, “ახალგაზრდობა ევროპისთვის”, რომელიც ხორციელდებოდა ქალაქ ქუთაისის მერისთან და სტრასბურგის მერიასთან პარტნიორობით.

3. სტრატეგია პროაქტიული მონაწილეობისთვის და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებისთვის

2016 წლის 16-18 სექტემბერს ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს აღმასრულებელი დირექტორი, ნინო ხუ-

ხუა მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციაში, ოდესაში, რომლის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და გავლენის გაძლიერება გადანყვეტილებების მიღების პროცესზე რეგიონალურ (შავი ზღვის) და სახელმწიფო დონეზე, რათა მათ ქვეყნებში შეუქცევადი დემოკრატიული ცვლილებები განახორციელონ თანამშრომლობისა და საზღვრისპირა რეგიონების ინიციატივების მეშვეობით.

4. მეორე სააგენტოს გახსნა უკრაინაში

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს დელეგატი ნინო ხუხუამ, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო სომხეთის დელეგატი ლუსინე ალექსანდრიანმა და ALDA- ს წევრმა ანდრია კრუპნიკმა, ოდესის მერის მოადგილე პაველ ვულგელმანთან, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ოდესის დირექტორთან და სხვა პოლიტიკოსებთან გამართა შეხვედრა. ეფექტური დისკუსიების შემდეგ, მერის მოადგილემ დაადასტურა, რომ ოდესის ქალაქი უკრაინის მეორე ლოკალური დემოკრატიის სააგენტოს გახსნას მხარს დაუჭრს..



ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული მიმართულება



ევროპის მოხალისეობრივი სერვისის (EVS) მონაწილეების გამგზავნი და მიმღები აკრედიტაცია:

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ 2016 წელს წარმატებით გაიარა აკრედიტაცია, რომლითაც მოიპოვა უფლება-მოსილება გააგზავნოს ქართველი და უმასპინძლოს ევროპელ ახალგაზრდებს საქართველოში ევრო კომისიის ახალგაზრდული პროგრამის Erasmus + European Volunteering Service (EVS) ფარგლებში.

Erasmus + პროექტებში ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო მონაწილეობა:

- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს ახალგაზრდული პროგრამების კოორდინატორმა მკაე ცერცვაძემ 2016 წლის 16-12 ოქტომბერს მონაწილეობა მიიღო პოლონეთში, ქ.ვარშავაში გამართულ ტრენინგში თემაზე “EVS Learning Effect”, ტრენინგი ორგანიზებული იყო პოლონეთის ნაციონალური სააგენტოს მიერ;
- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს მოხალისე და კლუბ „ახალგაზრდები ევროპისათვის“ წევრმა მაგდა ფურცხვანიძემ 2016 წლის 16-9 ოქტომბერს, უკრაინაში, ქ. სუმში მონაწილეობა


მიიღო საერთაშორისო სემინარში “Simulation Games: Seeking Asylum”. სემინარი ორგანიზებული იყო ორგანიზაცია ევროპული ინიციატივის მიერ Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.

- ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველომ ქუთაისში უმასპინძლა EVS კოორდინატორებს — ამალია პეტუ (საფრანგეთი) და ალინა ვუსოჩინა (უკრაინა). კოორდინატორებმა სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს ახალგაზრდული კლუბის „ახალგაზრდები ევროპისათვის“ წევრებისათვის და ესაუბრეს მათ მოხალისეობის, ევროპული ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამების შესახებ.

მშვიდობის კორპუსის მოხალისე

მშვიდობის კორპუსის მოხალისე, პაულა როიალთი, ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსთან ერთად მუშაობდა ერთი წლის განმავლობაში. ის გახლდათ გამოცდილი იურისტი და მენარმე, რომელსაც აქვს მრავალმხრივი გამოცდილება ტრენინგებისა და ბიზნეს კონსულტაციების მიმართულებით. პაულა სააგენტოს უწევდა კონსულტაციებს, ორგანიზაციული განვითარების კუთხით, მისი ინიციატივით განხორციელდა რამდენიმე პროექტი, გარდა ამისა ატარებდა ტრენინგებს ახალგაზრდებისთვის პროექტის წერაზე/დიზაინზე, ლიდერობაზე.

მედია მხარდაჭერა



საკონტაქტო ინფორმაცია:

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო

მისამართი: ქუთაისი, წერეთლის ქუჩა #111,

ტელ: +995 (0)431 24 24 02

E-mail: ldageorgia@aldaintranet.org; nino_khukhua@yahoo.com

<https://www.facebook.com/LDAGeorgia>

www.ldageorgia.ge